



კურსის მიმოხილვა ე-3 კლასი

Source: Reimers, F. (2017). “მოსწავლეების გაძლიერება და მოტივირება სამყაროს უკეთესობისკენ შესაცვლელად 60 გაკვეთილში”. 1-ლი გამოცემა. საგამომცემლო პლატფორმა Createspace Independent.

Copyright: © 2017 Fernando M. Reimers. აშრომის ლიცენზია Creative Commons Attribution 4.0 International License. ლიცენზიის ასლის ნახვა შესაძლებელია ბმულზე: <https://creativecommons.org/licenses/by/4.0/> ყველა უფლება დაცული.

შენიშვნა: ყველა კომპონენტი გამოქვეყნდა გლობალური სკოლების პროგრამისგან დამოუკიდებლად.



მიმოხილვა	
წავლის მიზანი	
<p>ოსწავლეები გაეცნობიან წარმოშობასა და რთულ სისტემებს, რომლებიც საჭიროა საკვების წარმოებისთვის და როგორ ახდენს ეს სისტემები უშუალო გავლენას ადამიანების ცხოვრებაზე მსოფლიოს გარშემო. ოსწავლეები ჩამოიყალიბებენ ეთიკურ ორიენტაციას ჩვენი ბუნებრივი რესურსებისა და სიცოცხლის ყველა სხვა ფორმის მიმართ —ხმელეთსა და წყალში — და გააცნობიერებენ ჩვენი პლანეტის მდგრადობისთვის შენარჩუნების/დაცვის საერთო პასუხისმგებლობას.</p>	
აკვეთილის შაბლონი	
აკვეთილი 1	საკვების წარმოშობა
აკვეთილი 2	სამეურნეო კულტურები და მონვეული სპიკერი
აკვეთილი 3	როგორ იზრდება მცენარეები
აკვეთილი 4	კლასის ბაღი
აკვეთილი 5	საკვები რთულ სისტემაში: ე.წ. აკნესის დისკუსია
წავლის მიზნები	
<ul style="list-style-type: none"> • ოსწავლეები შეისწავლიან ახალ თემას და გაუზიარებენ ცოდნას თანატოლებს. • ოსწავლეები კრიტიკულად იაზროვნებენ იმაზე, თუ როგორ ახდენს გავლენას ესა თუ ის საკითხი/პრობლემა მათსავე ცხოვრებაზე. • ოსწავლეები ჩართულნი იქნებიან პრაქტიკულ პროექტებში თანაკლასელებთან ერთად, რათა შექმნან საბოლოო პროდუქტი 	



ე-3 კლასი, გაკვეთილი 1 “ აკვების წარმოშობა ”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: მეცნიერება, სოციალური მეცნიერებები, ჯანმრთელობა

სტანდარტები: სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შეშვითი (მიზანი 2); ჯანმრთელობა და აკეთილდღეობა (მიზანი 3); მდგრადი მოხმარება და წარმოება (მიზანი 12)

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები გამოიყენებენ საკუთარ ლანჩს/სადილს, რომ განიხილონ საკვების წარმოშობა, საიდან მოდის ის და შეუსაბამონ თავიანთი საკვები სიღარიბისა და შეშვითის პრობლემებს მსოფლიოს მასშტაბით.

ასწავლო მიზანი: მოსწავლეები განივითარებენ მოსფლიო მასშტაბით საკვების განსხვავებების დაფასების უნარს და გააცნობიერებენ საკვების განაწილებასთან დაკავშირებულ თანასწორობის საკითხებს სხვადასხვა კონტექსტში.

გაცნობიერების მიზნები:

- აკვების მიტანა ფერმიდან სუფრაზე მოიცავს რთულ ტექნოლოგიებს და მიწოდების ჯაჭვებს.
- სხვა კულტურებში ხალხი ჭამს სხვადასხვა საკვებს გეოგრაფიული მახასიათებლებისა და წვდომის პრობლემების გამო
- სხვადასხვა საკვებზე წვდომა (ან წვდომის არქონა) დაკავშირებულია ისეთ უთანასწორობებთან, როგორებიცაა ჯანმრთელობა და სიღარიბე

მნიშვნელოვანი კითხვები:

- საიდან მოდის ჩვენი საკვები?
- რატომ იყენებს სხვადასხვა კულტურა სხვადასხვა საკვებს?
- როგორ არის საკვებზე წვდომა არათანაბრად განაწილებული მთელ მსოფლიოში?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- საკვების წარმოშობის საწყისების განსაზღვრა
- კვების კულტურებში განსხვავებების შედარება
- საკვების წვდომასთან და კვებასთან დაკავშირებული უსამართლობების განხილვა

შეფასება:

- გაკვეთილის ბოლოს 1-2 წინადადებიანი პასუხები საბოლოო კითხვებზე
- მოსწავლეების მიერ შექმნილი სურსათის წარმოების რუკები



აქტივობების თანმიმდევრობა:

★ საცყურა (10 წუთი): რა არის სადილისთვის დღეს?

- აღწერეთ და დახატეთ სურათი იმისა, რაც მოიტანეთ/რასაც სკოლა გთავაზობთ სადილზე. რა სახის საკვებს მიირთმევთ? საიდან გაჩნდა ეს საკვები (მინა, ცხოველი და ა.შ.)?
- აიდან მოვიდა შენი საკვები? რა უნდა მომხდარიყო იმისათვის, რომ საკვები საწყისი ადგილიდან (ფერმა) მოსულიყო შენს თეფშამდე?
- ასწავლებელმა უნდა დაახატინოს მოსწავლეებს ჯანსაღი თეფში, რომელიც გაყოფილი იქნება ოთხ ჯგუფად (ხილი, ბოსტნეული, ცილა, მარცვლეული). ეს დაეხმარება მათ გააანალიზონ საკვების მოხმარების უთანასწორობა შემდეგ აქტივობაში.

★ აქტივობა #1 (20 წუთი): სურათის ანალიზი

- მიეცით მოსწავლეებს სურათები (ან წერილობითი ბარათები/ნახატები) ათი სადილისა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის განსხვავებული შემოსავლის სტატუსის ქვეყნიებიდან. ოგიერთ სადილს უნდა ჰქონდეს ცილის ან ხილის ნაკლებობა ან თეფშები თითქმის საკვების გარეშე იმ დროს როდესაც, სხვა თეფშებზე საკვები იქნება გადაჭარბებულად და უხვად.
- **ნაბიჯი 1: მენყვილესთან მუშაობა (5 წუთი):** მენყვილესთან ერთად მოსწავლეები გამოიყენებენ თავიანთ ჯანსაღ თეფშს იმის დასადგენად, თუ რომელი სკოლის ლანჩია კარგად ორგანიზებული და რომელი ჯანსაღი კვების კომპონენტები აკლია. მოსწავლეები დაალაგებენ და შეაფასებენ საჭმლის სურათებს ხარისხის მიხედვით. (5 წუთი)
- **ნაბიჯი 2: ჯგუფური მუშაობა (3 წუთი):** ოთხკაციან ჯგუფებში მოსწავლეები შეადარებენ როგორ და რატომ დაალაგეს საკვები ისე, როგორც დაალაგეს. მოსწავლეები აღნიშნავენ განსხვავებებს და საერთო არჩევანს და გაუზიარებენ ერთმანეთს საკუთარ აზრს.
- **ნაბიჯი 3: მთელი კლასი (12 წუთი):** მოსწავლეები უზიარებენ, რომელ ქვეყანას ჰქონდა კარგად ორგანიზებული საკვები და რომელს ჰქონდა საკვების ნაკლებობა.
- **ადისკუსიო კითხვები:**
 - რა შეგიძლიათ ივარაუდოთ ამ ქვეყნების ფერმების შესახებ?
 - ა სახის საკვებზე აქვთ ამ ქვეყნებს წვდომა?
 - როგორ ფიქრობ, რატომ არის ზოგიერთ ადგილას უფრო მეტი საკვები, ვიდრე სხვანაირად?
 - როგორ გრძნობ თავს, როცა გშია? ახერხებ კონცენტრირებას?



- ოგორ ფიქრობ, შეიძლება შიმშილმა გავლენა იქონიოს ვინმეს კონცენტრირებაზე სკოლაში?

★ **აქტივობა #2 (20 წუთი):** სურსათის წარმოების რუკა

- მოსწავლეები გაეცნენ საკვების მიწოდების ჯაჭვს რუქის დახატვით (იხ. მაგალითი მოსწავლეებისთვის ქვემოთ) მცირე ჯგუფებში პლაკატების ქალაქებზე. მასწავლებელმა უნდა ჰკითხოს მოსწავლეებს, როგორ წარმოუდგენიათ, რა ნაბიჯები უნდა გაიარონ მათ, რომ ისაძლიერონ დღეს. ოგორც კლასი, შექმენით რუქის მონახაზი და მოსწავლეებს დაახატინეთ ან დაასათაურებინეთ პროცესი ჯგუფში.

დასკვნა/შეფასება: მოსწავლეები წერენ პასუხებს შემდეგ კითხვებზე...

- როგორ მიდის საკვები ფერმიდან თქვენს მაგიდასთან?
- რატომ არის ზოგიერთი კერძი არათანაბარი სხვადასხვა ადგილას?

რესურსები მოსწავლეებისთვის:

- სხვადასხვა ქვეყნის სასკოლო ლანჩების სურათები: <http://tiny.cc/G3L1R1>
- ანსალი თეფში: <http://tiny.cc/G3L1R2>
- ფერმიდან მაგიდამდე პროცესის დიაგრამა: <https://www.pinterest.com/pin/546202261030908034/>

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- რატომ არის მნიშვნელოვანი საკვების წარმოშობის სწავლება: https://www.washingtonpost.com/blogs/on-parenting/post/teaching-kids-where-food-comes-from/2012/05/30/gJQAVy121U_blog.html



ე-3 კლასი, გაკვეთილი 2

“სამეურნეო კულტურები და მონვეული სპიკერი”

დროის ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: მეცნიერება, სოციალური სწავლებები

სტანდარტები: სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შეშვითი (მიზანი 2); ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (მიზანი 3); ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (მიზანი 8); მდგრადი ქალაქები და საზოგადოებები (მიზანი 11); კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები (მიზანი 13); სიცოცხლე ხმელეთზე (მიზანი 15)

შეიმუშავა: Chihiro Yoshida

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები გაეცნობიან მსოფლიოს სხვადასხვა სამეურნეო კულტურას, ჩაერთვებიან საუბარში ზრდასრულ ადამიანთან, რომელიც ახლომდებარე თემიდან/საზოგადოებიდან მეურნეობით არის დაკავებული.

სასწავლო მიზნები: მოსწავლეებს შეეძლება...

- გაიგონ მეურნეობის სხვადასხვა ფორმის შესახებ მსოფლიოს გარშემო.
- აზარდონ ცნობიერება სოფლის მეურნეობაში პროფესიების შესახებ.

აცნობიერების მიზნები:

- მსოფლიოში არსებობს სოფლის მეურნეობისა და წარმოების სხვადასხვა ფორმა.
- განსხვავებები გამომდინარეობს კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიდან.
- თქვენს საზოგადოებაში არიან ადამიანები, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- რა არის სხვადასხვა სახის სასოფლო - სამეურნეო პროდუქცია მთელს მსოფლიოში?
- როგორ იწარმოება საკვები მსოფლიოში?
- რა არის სოფლის მეურნეობის როლი საზოგადოებაში სხვადასხვა კულტურაში?
- როგორია იმ ადამიანების გამოცდილება თქვენს საზოგადოებაში, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობაში?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლება):

- სოფლიოში სოფლის მეურნეობის წარმოებაში არსებული განსხვავებების შედარება
- იმ როლების განსაზღვრა, რომლებსაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულები ასრულებენ საზოგადოებაში
- იმ საკითხების/პრობლემების გაგება და თანაგრძნობა, რომლებსაც აწყდებიან სოფლის მეურნეობაში მომუშავე ადამიანები თავიანთ საზოგადოებაში.



შეფასება: ინდივიდუალური მოსაზრებები და/ან წერილები დანერგილი მონვეული სპიკერისათვის.

აქტივობების თანმიმდევრობა:

- **გახსნა (5 წუთი):**
 - **დისკუსია:** ვინ იცნობს ხალხს, ვინც სოფლის მეურნეობაში მუშაობს? ას აკეთებენ ისინი? როგორ არიან ისინი ჩართული საკვების წარმოების პროცესში? რა არის მათი როლი საზოგადოებაში?
- **შესავალი (15 წუთი):**
 - **რეზენტაცია:** მასწავლებელი გააცნობს მოსწავლეებს სხვადასხვა ხალხს მსოფლიოს გარშემო, რომლებიც ჩართულნი არიან სოფლის მეურნეობაში და მათ ადგილობრივ პროცესებსა და საკითხებში (მეურთეული შტატები - სიმინდის მინდვრები, ტექნიკა; იაპონია - ბრინჯის სათბურები, მცირე ზომის ოჯახური წარმოება; ინდოეთი - შაქრის ლერწამი).
- **ძირითადი მოვლენა (30 წუთი):**
 - **ონვეული სპიკერი:** ვინმე, ვინც სოფლის მეურნეობის წარმოებაში მუშაობს, მონვეული იქნება საკლასო ოთახში სასაუბროდ. იდეალურ შემთხვევაში, ეს იქნებოდა ვინმე, ვინც სოფლის მეურნეობაშია ჩართული სამეწარმეო აზროვნებით და აქვს სოფლის მეურნეობის ბიზნესის მოქმედების შეცვლის ხედვა.
 - **კითხვა-პასუხი:** კლასის მასწავლებელი ხელს შეუწყობს კითხვების დასმასა და შემდგომ დისკუსიას მონვეულ სპიკერსა და მოსწავლეებს შორის.
- **აანალიზება (10 წუთი):** შემაჯამებელი შენიშვნები და ინდივიდუალური გააზრება (ჟურნალის წერა და/ან წერილების მიწერა სტუმრისათვის)

რესურსები მოსწავლეებისთვის:

- კაცი, რომელმაც გამოკვება მსოფლიო: <http://tiny.cc/G3L2R1>
- ავშვი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო (საბავშვო წიგნი): <http://tiny.cc/G3L2R2>
- ფანქრების დატოვების დღე (საბავშვო წიგნი) - <http://tiny.cc/G3L2R3>

რესურსები მასწავლებლებისთვის:

- მსოფლიო კვების პრიზი (ნორმან ბორლაუგი): <http://tiny.cc/G3L2R4>
- გენიოსი მწვანე რევოლუციის მიღმა (ნორმან ბორლაუგი): <https://www.aaprotype.com/people/47-environmentalists-for-nuclear-united-states/people/people-north-america/556-the-genius-behind-the-green-revolution>
- ურბანული მეურნეობა მთელს მსოფლიოში: <http://tiny.cc/G3L2R6>
- სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა ეკონომიკაში: <http://tiny.cc/G3L2R7>



Global Schools Program

- მწვანე ბრონქსის მანქანა: <http://tiny.cc/G3L2R8>
- მენარმეობა სოფლის მეურნეობაში - <http://tiny.cc/G3L2R10>
- ამერიკის ფერმერები: <http://tiny.cc/G3L2R14>



ე-3 კლასი, გაკვეთილი 3 “როგორ იზრდება მცენარეები”

ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: ბიოლოგია, კვების მეცნიერება

სტანდარტები: სუფთა წყალი და სანიტარია (მიზანი 6); მდგრადი მოხმარება და წარმოება (მიზანი 12); კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედებები (მიზანი 13); სიცოცხლე ხმელეთზე (მიზანი 15)

შეიმუშავა: Matt Owens

შეჯამება და დასაბუთება: მოსწავლეები შეისწავლიან მცენარეების სასიცოცხლო ციკლს, რათა გაიგონ როგორ იზრდება მცენარეები და როგორ აწარმოებს საკვებს, ასევე როგორ შეუძლიათ ადამიანებს გავლენა იქონიონ და შეცვალონ ეს პროცესი.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეები შეისწავლიან რა რესურსები სჭირდება მცენარეებს აყვავებისთვის და ადამიანებისთვის შესაფერისი საკვების წარმოებისთვის და გამოიყენებენ ამ ცოდნას საკლასო ბალის დასაგეგმად, რაც განხორციელდება შემდეგ გაკვეთილზე.

აცნობიერების მიზანი: მცენარეებს სჭირდებათ სუფთა წყალი და ჰაერი, კარგი ნიადაგი, მზის შუქი და ზრუნვა საკვების მისაღებად. საკვები, რომელსაც ჩვენ ვჭამთ, ურთიერთდაკავშირებულია რთულ ეკოსისტემებთან, რომლებზეც ადამიანებს აქვთ ზემოქმედების უნარი ან დადებითად ან უარყოფითად.

მნიშვნელოვანი კითხვები:

- როგორ აწარმოებენ მცენარეები საკვებს, რომელსაც ჩვენ ვჭამთ?
- რა სჭირდებათ მათ გასაზრდელად?
- როგორ დავეხმაროთ მცენარეებს გაზრდაში?

წავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):

- მცენარეთა სასიცოცხლო ციკლის საფეხურების და სხვადასხვა რესურსის განსაზღვრა, რომლებიც მცენარეს სჭირდება განვითარებისთვის (მაგალითად. სუფთა ჰაერი და წყალი, კარგი ნიადაგი, მზის შუქი, მოვლა და ა.შ.)
- მარტივი ნაბიჯების დასახელება, რომელთა გადადგმაც შეუძლიათ მცენარეების მოვლისთვის
- ამ ცოდნის გამოყენება საკლასო ბალის დასაგეგმად, რომელიც განხორციელდება შემდეგ გაკვეთილზე

შეფასება:

- არაფორმალური შემოწმება გააზრებისთვის, სანამ მოსწავლეები გეგმავენ ბალს
- სასიცოცხლო ციკლის დიაგრამა



- ბალის გეგმა

აქტივობების თანმიმდევრობა:

- **სატყუარა: დაფიქრება და დისკუსია (10 წუთი)**

- მასწავლებელი გაუძღვება წინა გაკვეთილზე ფერმერის ვიზიტზე რეფლექსიას.
- მასწავლებელი დაუსვამს მოსწავლეებს კითხვებს სხვადასხვა საკვების შესახებ, რომლებიც ფერმერს მოყავს, როგორ ზრდის ის საკვებს; მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას იმის შესახებ, თუ რას საჭიროებს საკვები გასაზრდელად და როგორ შეუძლიათ ადამიანებს დახმარება.

- **აღმოაჩინეთ: მცენარეთა სასიცოცხლო ციკლი (20 წუთი)**

- მასწავლებელი წარმართავს გაკვეთილს მცენარეთა სიცოცხლის ციკლის შესწავლაზე. თემის გაცნობისთვის შემოთავაზებული საშუალებები მოიცავს ბავშვთა წიგნებს და ვიდეო კლიპებს, რომლებიც აჩვენებს მცენარის სასიცოცხლო ციკლს და იმას, თუ როგორ შეუძლიათ ადამიანებს მცენარეების ზრდაში დახმარება.
- შემდეგ მასწავლებელი გაუძღვება კლასის დისკუსიას მცენარის სხვადასხვა ნაწილისა და მისი სხვადასხვა ეტაპის განხილვაზე, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რა სჭირდება მცენარეს იმისათვის, რომ გაიზარდოს ძლიერი და ჯანსაღი.
- **არჩევითი აქტივობა:** მოსწავლეთა გაგების შესაფასებლად ისინი დახატავენ მცენარეთა სასიცოცხლო ციკლის დიაგრამებს, რათა წარმოაჩინონ როგორ იზრდება მცენარეები, როგორ წარმოქმნიან საკვებს და რა სჭირდებათ ამისათვის.

- **დაკავშირება: შეიმუშავეთ კლასის ბალი (20 წუთი)**

- მოსწავლეები დახატავენ და შექმნიან საკუთარ ბალს, ასევე გეგმას, თუ რა შეუძლიათ მათ გააკეთონ იმისთვის, რომ დარწმუნდნენ, რომ მცენარე იზრდება.
- მოსწავლეებს შემდეგ ექნებათ შესაძლებლობა, თავიანთი გეგმა გაუზიარონ მენეჯერებს ან მცირე ჯგუფს

- **გეგმა: წინსვლა (10 წუთი)**

- მასწავლებელი გააერთიანებს კლასს, რათა განიხილოს და აუხსნას მოსწავლეებს შემდეგი გაკვეთილის გეგმა: ააშენონ საკლასო ბალი.

რესურსები მოსწავლეებისთვის:

- **ვიდეო ჩანაწერი:**

- როგორ იზრდება ის: <http://tiny.cc/G3L3R1>
- ოგორ იზრდება საკვები: <http://tiny.cc/G3L3R2>
- თესლიდან ყვავილამდე: <http://tiny.cc/G3L3R3>



- საბავშვო წიგნები:
 - ედის ბალი და როგორ გავზარდოთ რაღაცები: <http://tiny.cc/G3L3R4>
 - ირველი მარცვლები მაგიდაზე: <http://tiny.cc/G3L3R5>
 - სტაფილოს თესლი: <http://tiny.cc/G3L3R6>
- ონლაინ შესწავლა:
 - დიდი მცენარეთა გაქცევა: <http://tiny.cc/G3L3R7>
 - მცენარეების ნაწილები: <http://tiny.cc/G3L3R8>

ესურსები მასწავლებლებისთვის:

- ბალის გეგმები და გზამკვლევები:
 - სკოლის ბაღების შექმნა: <http://tiny.cc/G3L3R9>
 - ბაღები სწავლისთვის: <http://tiny.cc/G3L3R10>
- სხვა რესურსები:
 - ცენარეთა ნაწილები: <http://tiny.cc/G3L3R11>
 - სოფლის მეურნეობის წიგნიერების სასწავლო გეგმა:
 - 1) <https://www.agclassroom.org/matrix/>
 - 2) <https://cdn.agclassroom.org/nat/data/get/NALObooklet.pdf>



ე-3 კლასი, გაკვეთილი 4 “კლასის ბალი”

ხანგრძლივობა: 60+ წუთი

თემები: სოციალური სწავლებები, ცხოვრებისეული უნარები

სტანდარტები: სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); ნულოვანი შიმშილი (მიზანი 2); ჯანმრთელობა და კეთილდღეობა (მიზანი 3); ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (SDG 8); მდგრადი ქალაქები და საზოგადოებები (მიზანი 11); კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ქმედებები (მიზანი 13); სიცოცხლე ხმელეთზე (მიზანი 15)

შეიმუშავა: Cassie Fuenmayor

შეჯამება და დასაბუთება: ეს გაკვეთილი კონცენტრირებული იქნება მესამე გაკვეთილზე განხილული კლასის ბალის დიზაინზე. ეს ხელს შეუწყობს შემოქმედებითობას, მოქმედებას, ასევე თვითდაჯერებულობასა და საზოგადოების განვითარებას.

სასწავლო მიზნები: მოსწავლეები...

- გამოიმუშავენ კულტურის მრავალფეროვნებისადმი დაფასებას, ცნობისმოყვარეობასა და პატივისცემას.
- ივარჯიშებენ გუნდურ მუშაობაზე და საზოგადოების განვითარებაზე.
- გამოიყენებენ საკუთარ ცოდნას პრაქტიკული პროექტის განსახორციელებლად.

კომპეტენციები:

- დაფასების, ცნობისმოყვარეობისა და პატივისცემის გამოიმუშავება კულტურის მრავალფეროვნებისა და მსოფლიო კულტურისადმი, როგორც საფუძველისადმი თვითრეფლექსიის, იდენტობის ფორმირების, ადამიანური ურთიერთობებისადმი ემპათიური დამოკიდებულების და სიცოცხლის ფორმებისა - მინაზე და წყალზე. ვენი პასუხისმგებლობის გაცნობიერება, რომ შევინარჩუნოთ/დავიცვათ ჩვენი პლანეტა მდგრადობისთვის.
- ნდობისა და თანამშრომლობის ელემენტების გააზრება, ღირსეული და მომგებიანი დასაქმება და რატომ არის მნიშვნელოვანი ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე.
- ეკონომიკისა და ფინანსური ურთიერთობების, მეცნიერების, ტექნოლოგიის, მონაცემთა ანალიზისა და ჯანდაცვის უნარ-ჩვევების შეძენა, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გაუმკლავდნენ რეალურ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.
- პრობლემების (წყლის, ენერჯისა და საკვების) გადაწყვეტის გზების გაანალიზება და გამოკვლევა სხვადასხვა როლების პერსპექტივიდან, როგორებიცაა მომხმარებლები, ბიზნესი, მეცნიერები, პოლიტიკის შემქმნელები, მკვლევარები, მედია და განვითარების თანამშრომლობის სააგენტოები და ა.შ.



აცნობიერების მიზანი: მოსწავლეები გააცნობიერებენ გუნდური მუშაობის და თანამშრომლობის, ასევე ქმედების მნიშვნელობას პროექტის გეგმის განხორციელებაში.

ნიშნულვანი კითხვები:

- ვინ რა დავალებას გააკეთებს ბალის განხორციელებისას?
- რა სტრატეგიებს გამოიყენებენ ისინი თავიანთი დავალების შესასრულებლად?
- რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ჩვენი ბალის სიჯანსაღე?
- ვინ აიღებს პასუხისმგებლობას ამ ამოცანებზე?
- როგორ არის ჩვენი ბალი მსგავსი/განსხვავებული იმისგან, რაც ჩვენ ვისწავლეთ სოფლის მეურნეობის შესახებ?
- როგორ შეგვიძლია გავუზიაროთ ჩვენი ბალი ჩვენს სკოლას/საზოგადოებას?

სწავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლება):

- მესამე გაკვეთილში დაგეგმილი ბალის დიზაინის განხორციელება
- აკუთარი დავალების შესრულება ბალის შექმნისას
- დაკისრებული ამოცანების დასასრულებლად საუკეთესო გზის მოძიება და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება.
- გაერთიანება ერთმანეთს ამოცანის შესრულებაში დახმარების მიზნით

შეფასება: მასწავლებლებს შეუძლიათ შეადარონ დასრულებული ბალი ბალის გეგმას/დიზაინს.

აქტივობების თანმიმდევრობა:

- **ატყუარა (5-10 წუთი):** გადახედეთ ბალის დიზაინს და მინიჭებულ დავალებებს. მოსწავლეები ატარებენ 5-10 წუთს იმის დაგეგმვაში, თუ როგორ დაასრულებენ დავალებას.
- **ძირითადი ღონისძიება (50 წუთი):** მოსწავლეები დაასრულებენ დაკისრებულ დავალებას ბალის გეგმის მიხედვით, ერთმანეთისა და მასწავლებლის დახმარებით.
- **დასკვნა (5 წუთი):** მოსწავლეები მიაღებენ და 5 წუთს დაუთმობენ თანატოლებთან დისკუსიას იმაზე, ბალი გეგმის მიხედვით წარიმართა თუ არა.
 - ამ ჩაიარა კარგად?
 - რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ ისინი?
 - როგორ შეხვდნენ ისინი ამ გამოწვევებს?

ესურსები მასწავლებლებისთვის

- მზარდი გონება - სკოლის ბალები: <http://tiny.cc/G3L4R1>



ე-3 კლასი, გაკვეთილი 5 “საკვები რთულ სისტემაში: დებატები”

ხანგრძლივობა: 60 წუთი

თემები: სოციალური სწავლებები, ბიოლოგია, კვების მეცნიერებები, ჯანმრთელობა, ეკონომიკა
სტანდარტები: სიღარიბის აღმოფხვრა (მიზანი 1); წულოვანი შიმშილი (მიზანი 2); ჯანმრთელობა და კეთილდღეობა მიზანი 3); სუფთა წყალი და სანიტარია (მიზანი 6); ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა (მიზანი 8); მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა (მიზანი 9); შემცირებული უთანასწორობა (მიზანი 10); მდგრადი ქალაქები და საზოგადოებები (მიზანი 11); მდგრადი მოხმარება და პროდუქცია (მიზანი 12); სიცოცხლე ხმელეთზე (მიზანი 15); პარტნიორობა მიზნების მისაღწევად (მიზანი 17)

შემუშავა: Christian Bautista

შეჯამება და დასაბუთება: მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა წარმოიდგინეს, დაგეგმეს და შეასრულეს თავიანთი კლასის ბალის პროექტი, კლასი დაფიქრდება და გაანალიზებს თავის საქმიანობას და დააკავშირებს მას ადგილობრივ და გლობალურ საკითხებთან, როგორცაა სიღარიბე, შიმშილი, გაზიარება და სამართლიანობა.

სასწავლო მიზანი: მოსწავლეებს შეეძლებათ განსაზღვრონ და განიხილონ სურსათის ზრდის, ბაზრების, შიმშილისა და სიღარიბის მეორად ეფექტებს.

აცნობიერების მიზანი: საკვების ზრდა და მოხმარება ღრმად არის დაკავშირებული რთულ სისტემებთან, რომლებიც პირადად აისახება ადამიანის ინდივიდუალურ ცხოვრებაზე მთელს მსოფლიოში, ამ სისტემების ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს ადამიანის უფლებებზე, მდგრადობასა და გლობალურ სამართლიანობაზე.

ნიშვნელოვანი კითხვები:

- ჩვენი კლასის ბალის აშენების შემდეგ, რამდენად რთული იქნებოდა ფერმის შემუშავება, რომელიც მთელ სკოლას გამოკვებავდა? ან მთელი ქალაქს?
- ეს ფერმა რომ ავაშენოთ, რა მოხდება, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ საკვების მოყვანას?
- რა მოხდება, თუ ჩვენ არ გვექნება საკმარისი ფული ჩვენი ბალის ასაშენებლად ან მის შესანარჩუნებლად?
- თუ მეოთხე კლასის ჯგუფმა ააშენა სხვა ტიპის ბალი და ჩვენმა გაზარდა საკვები, მაგრამ მათმა არა, რა შეგვიძლია გავაკეთოთ მათ დასახმარებლად?
- რა გზებით შეგვიძლია დროზე ადრე დავრწმუნდეთ, რომ ყველას გვექნება საკმარისი საკვები?

წავლების მიზნები (მოსწავლეებს შეეძლებათ):



- დაეყრდნონ ბოლო 4 გაკვეთილზე მიღებულ გამოცდილებას, რათა წვლილი შეიტანონ ღრმა დისკუსიაში სურსათის წარმოებისა და მოხმარების მიმდინარე საკითხებზე.
- ჩაერთონ დისკუსიაში:
 - მასწავლებელი დასვამს რთულ, ღია კითხვებს, როგორც ეს მოცემულია ზემოთ მოცემულ მნიშვნელოვან კითხვებში
 - მოსწავლეები უპასუხებენ ამ კითხვებს და უპასუხებენ ერთმანეთის პასუხებს დისკუსიის და არა დებატების ფორმატში.
- ისკუსიაში წვლილის შეტანა:
 - მასწავლებლებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოსწავლეთა 100% ჩაერთვება დისკუსიაში და რომ მსჯელობას არ წარმართავენ მხოლოდ კონკრეტული მოსწავლეები.
 - თუ მოსწავლეებს ადრე არ მიუღიათ სოკრატის ან ჰარკნესის დისკუსიებში მონაწილეობა, დრო უნდა დაიხარჯოს მოლოდინებისა და ნორმების ახსნაზე.
- პოზიტიური დამოკიდებულების შენარჩუნება ერთმანეთის წვლილის მიმართ და მათი სწავლების დაკავშირება უფრო დიდ, გლობალურ საკითხებთან.

შეფასება:

- გაკვეთილი მოიცავს ორივე, არაფორმალურ და ორგანულ შეფასებას მასწავლებლის მიერ (კონკრეტული სტუდენტების მიერ საინტერესო წვლილის აღნიშვნასთან ერთად) ისევე, როგორც ფორმალურ შეფასებას.
- თუ ის გადაწყვეტს ამის გაკეთებას, მასწავლებელს შეუძლია „შეაფასოს“ კლასი ჯგუფურად, რუბრიკის გამოყენებით დისკუსიის ხარისხის შესაფასებლად:
 - ყველა მოსწავლე ლაპარაკობდა?
 - დარჩა თუ არა კლასი თემაზე კონცენტრირებული?
 - იყო თუ არა დამოკიდებულება პოზიტიური და არა წინააღმდეგობრივი?
- ასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ გააცემინებს წერილობით პასუხს ერთ ან ორ არსებით კითხვაზე; ეს მოსაზრებები შემდგომში შეიძლება შეფასდეს მასწავლებლის მიერ.

აქტივობების თანმიმდევრობა

- **შესავალი (5 წუთი):**
 - მასწავლებელი აუხსნის მოსწავლეებს, რომ დღეს გაკვეთილი დაეთმობა იმ ყველაფრის ასახვას, რაც მათ აქამდე ისწავლეს.
 - მასწავლებელი ასევე მიუთითებს მოსწავლეებს, რომ მათი მაგიდები/მერხები დაალაგონ წრეზე. რეში მასწავლებელიც იქნება ჩართული.

დისკუსია (30 წუთი):

- მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას ზემოთ განხილულ 5 არსებით კითხვაზე.



- მოსწავლეები უნდა ჩაერთონ ერთმანეთის აზრების განხილვაში, მასწავლებელმა მხოლოდ უნდა უბიძგოს და წაახალისოს შემდგომი დისკუსია და რთული/გამომწვევი განცხადებები.
- **მოკლე აღწერა/დასკვნა (10 წუთი):**
 - მასწავლებელი რამდენიმე წუთს გაატარებს კლასთან საუბარში დღევანდელი დისკუსიის შესახებ და საშუალებას მისცემს მოსწავლეებს გაუზიარონ ერთმანეთს, რას გრძნობდნენ ან რა ისწავლეს.
 - კლასის დამთავრებამდე თითოეულმა მოსწავლემ უნდა ჩამოწეროს ერთი რამ, რაც ისწავლა დისკუსიიდან, რომელიც მანამდე არ იცოდა ან არ განიხილავდა.